7. **ბოკოვს** ვლადიმერ მიხეილის-ძეს, ყოფილ საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს, **ვერნეკს** ალექსანდრე ბორისის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, მთავარ ინჟინერს, **ტირტოვს** ანატოლი სერგის-ძეს, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილეს, ელექტროსაღების მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშაკებს, **ვოსტრუხოვს** კონსტანტინე მიხეილის-ძეს, ამავე ქარხნის მთავარ დაანძის სპეციალურ-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროექტის მთავარ ინჟინერს, **აკატოვს** ანატოლი ივანეს-ძეს, სიბჭოთა კავშირის მეტალურგიული მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის ჯაუფის გამგეს, **მასკილეინინს** ანატოლი მოსეს-ძეს, **ხუმსკის** სერგი ნიკოლოზის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებს, ამავე ინსტიტუტის განყოფილებათა გამგეებს, **ოსიპენკოს** პაველ ივანეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ტაგანროგის სახელმწიფო მეტალურგიული ქარხნის დირექტორს, **როზენს** ალექსანდრე სიმონის-ძეს, სამჩროს უფროსს, **ხერგეევს** ვლადისლავ დმიტრის-ძეს, უფროს მეალეცავს, ამავე ქარხნის მუშაკებს, **კრუპპანს** იური გრიგორის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის ხელმძღვანელს, **შიუკაკის** ალბერ დავითის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ჩრდილოეთ კავკასიის ფილიალის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილეს, ამავე ინსტიტუტის მუშაკებს, **ორლოვს** ნიკოლოზ მათეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საბჭოთა კავშირის ვ. ა. გორბაჩინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, **დრონოვს** ნატალია თევდორეს ასულს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სრულიად რუსეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ყოფილ უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ზარიას** მიხეილ ალექსანდრეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, 50-ე წლისთავის სახელობის ქარხნის მუშაკებს, **ეეიკინს** ალექსანდრეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის გამგეს, **ბოლიაკოს** არკადი ვასილის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ბიუროს გამგეს, **ეოლოვოს** ვლადიმერ ივანეს-ძეს, **ფურდოეს** ალექსანდრე ვადიმის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატებს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, **ბუშნიაკს** ვასილ ანტონის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის კომკავშირის სახელობის ზუსტ ელექტრომოხელსაწყოთა ქარხნის მთავარ ინჟინერს, **ბუდნიცკაიას** ელენე აბრამის ასულს, ლაბორატორიის უფროსს, **ლუკაშევს** გრიგორ გრიგორეს-ძეს, **სმოლლარს** იური ანტონის-ძეს, **ფიშჩენკოს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, წამყვან ინჟინერს, **ხერიკს** ანატოლი მიხეილის-ძეს, **ბოლოვ�ენ** ბრიგადირს, ამავე ქარხნის მუშაკებს, — კომპლექსური ელექტრული სიდიდეების ავტომატურ საზომად აკმაყოფილების თეორიული საფუძვლებისა და პრინციპების შემუშავებისათვის, ამ ბაზაზე ცვლადი დენის ავტომატური ხიდების შექმნისა და სერიულ წარმოებაში დანერგვისათვის.

11. **ზელენსკის** ბორის ვასილის-ძეს, პერგოფრალსკის მალის ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს, **ფოტოვს** ალექსანდრე ანდრიას-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, მთავარ ინჟინერს, **სტოლეტნის** მარატ თევდორეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, **ლოცს** იური ბორისლავის-ძეს, ლაბორატორიებს გამგეებს, **სერებრიაკოვს** ვიქტორ ალექსანდრეს-ძეს, საამქროს უფროსს, **მირონოვს** იური გიორგის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, **ეეიდოროვს** ვიტალი დანილის-ძეს, ლაბორატორიის უფროსს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, **აგურეევს** ვლადიმერ ნიკიტას-ძეს, **პრონეკრის** ვალერი ბორისის-ძეს, უფროს ინჟინერს, **ჩერემნახს** პეტრე ანდრიას-ძეს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, უფროს მეცნერ თანამშრომელს, ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის მუშაკებს, **კომარს** ევგენი გრიგორის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, **სამოილოვს** ბორის ნიკოლოზის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, — 25 ტესლამდე (250 კგს) ინდუქციისა სტაციონარული ზეძლიერი მაგნიტური ველების საველურიანი სისტემათა კომპლექსის შექმნისათვის.

13. **გრიშმანოვსკის** ვიქტორ ალექსანდრეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, **სტოლპაიანსკის** მიხეილ პეტრეს-ძეს, წამყვან კონსტრუქტორებს, **ივანოვს** ვლადიმერ პეტრეს-ძეს, განყოფილების უფროსს, **მიხეიკოვს** ვიტალი ანატოლის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, **კარპენკოს** ვალენტინა პაველს ასულს, **ნოვიკს** ანატოლი ივანეს-ძეს, **სურდს** მიხეილ ნიკოლოზის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებს, ამავე ინსტიტუტის უფროს მეცნერ თანამშრომლებს, **პუშნიაკს** ვასილ ანტონის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ამავე ინსტიტუტის კომკავშირის სახელობის ზუსტ ელექტრომოხელსაწყოთა ქარხნის მთავარ ინჟინერს, **ბუდნიცკაიას** ელენე აბრამის ასულს, ლაბორატორიის უფროსს, **ლუკაშევს** გრიგორ გრიგორეს-ძეს, **სმოლლარს** იური ანტონის-ძეს, **ფიშჩენკოს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, წამყვან ინჟინერს, **ხერიკს** ანატოლი მიხეილის-ძეს, **ბოლოვcenენ** ბრიგადირს, ამავე ქარხნის მუშაკებს, — კომპლექსური ელექტრული სიდიდეების ავტომატურ საზომად აკმაყოფილების თეორიული საფუძვლებისა და პრინციპების შემუშავებისათვის, ამ ბაზაზე ცვლადი დენის ავტომატური ხიდების შექმნისა და სერიულ წარმოებაში დანერგვისათვის.

11. **ზელენსკის** ბორის ვასილის-ძეს, პერგოფრალსკის მალის ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს, **ფოტოვს** ალექსანდრე ანდრიას-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, მთავარ ინჟინერს, **ბოსპანს** ნიკოლოზ ილიას-ძეს, სამამრის უფროსს მოადგილეს, **ალექსეევს** ანატოლი ალექსის-ძეს მექანიკოსი ბრიგადირს, **ბორიაკოვს** ალექსანდრე ბორისის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიებს გამგეებს, **ლოცს** იური ბორისლავის-ძეს, ლაბორატორიებს გამგეებს, **სერებრიაკოვს** ვიქტორ ალექსანდრეს-ძეს, საამქროს უფროსს, **მირონოვს** იური გიორგის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლაბორატორიის გამგეს, **ნოვოსარტოვს** მიხეილ ტიმოთეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის უფროსს, **ჩეჩკინს** ალექსანდრე ვიტალის-ძეს, ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორს, **კრიეცკის** სერგი ეასილის-ძეს, წამყვან ინჟინერს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს, **ბოლოვcenენ** ბორის ნიკოლოზის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, **ლავრეშკოს** ვიქტორ ივანეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, დირექტორის მოადგილეს, **ელინსკის** ანატოლი სერგოს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლაბორატორიის გამგეს, **ბაბაიანს** ლევ დავითის-ძეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სამუშაოს ხელმძღვანელს, **სვეშნიკოვს** ალექსი გიორგის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლაბორატორიის გამგეს, **კრემენეცკის** სიმონ დავითის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლაბორატორიის გამგეს, **ნოვოსარტოვს** მიხეილ ტიმოთეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის უფროსს, **ჩეჩკინს** ალექსანდრე ვიტალის-ძეს, ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორს, **კრიეცკის** სერგი ეასილის-ძეს, **ეაშკინს** ალექსანდრე ანდრიას-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, **ეოლოვოს** ვლადიმერ ივანეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, **ეეიდოროვს** ვიტალი დანილის-ძეს, ლაბორატორიის უფროსს, ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებს, **ეაგურეევს** ვლადიმერ ნიკიტას-ძეს, **პრონეკრის** ვალერი ბორისის-ძეს, უფროს ინჟინერს, **ჩერემნახს** პეტრე ანდრიას-ძეს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, უფროს მეცნერ თანამშრომელს, ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის მუშაკებს, **კომარს** ევგენი გრიგორის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის ელექტრონული მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის პროფესორს, **ფრანციფინს** ანტონი ვლადიმერის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, **ეაბოტინსკის** მარკოზ ეფრემის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, — მიღებების სქლად გლინვის ტექნოლოგიური პროცესის სამართავად იდენტიფიკატორიანი ადაპტური სისტემის შექმნისა და სამრეწველო ათვისებისათვის.

12. **ვესელეაგოს** ვიქტორ გიორგის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სექტორის გამგეს, **მაქსიმოვს** ლეონიდ პაველს-ძეს, დანიდგარის უფროსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს, **კლიავინს** პაველ პაველს-ძეს, დ. ვ. ეფრემოვის სახელობის ელექტროფიზიკური ამაბატორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს ინჟინერს, **როფდუხტვეინკის** ბორის ვასილის-ძეს, **ჩურკოვს** ვასილ ვასილის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებს, **ბოლოვcenენ** ბორის ნიკოლოზის-ძეს, **ბოლოვcenენ** ბორის ვასილის-ძეს, **ბოლოვcenენ** ბორის ვასილის-ძეს, **ჩურკოვს** ვალერი ბორისის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლაბორატორიის გამგეს, **ნოვოსარტოვს** მიხეილ ტიმოთეს-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ლაბორატორიის უფროსს, **ჩეჩკინს** ალექსანდრე ვიტალის-ძეს, ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორს, **კრიეცკის** სერგი ეასილის-ძეს, **ეაშკინს** ალექსანდრე ანდრიას-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, **ეეიდოროვს** ვიტალი დანილის-ძეს, ლაბორატორიის უფროსს, **ეეიდოროვს** ვიტალი დანილის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატ

დიდი სულის ოსტატი



ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ეპოქის ამსახველი ხელოვნების ნაწარმოები აფორიაქებდეს ადამიანის აზრს, უღვიძებდეს მას მოგონებებს, ისტორიული წარსულის პატივისცემის ამაღლებულ გრძნობებს, უხმობდეს წინ, მომავლისაკენ. ომისშემდგომ პერიოდში ჩვენ სწორედ ისეთი მონუმენტური სკულპტურული ნაწარმოებების შექმნის მოწმენი გავხდით, რომლებიც უკვდავყოფენ კაცობრიობის ისტორიაში საბჭოთა ადამიანების უმაგალითო გმირობას, დიდ სამამულო ომში რომ გამოიჩინეს.

საკმარისია გავიხსენოთ მემორიალები ვოლგოგრადში, მოსკოვში, ლენინგრადში, მინსკსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში. ჩვენი აზრით, საქრთველოს ოსტატთა ნაწარმოებებს ამ გალერიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოქანდაკის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის **მერაბ ბერძენიშვილის** ნამუშევარს — გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავ ძეგლს. იგი თბილისის მაღლობლად, რაიონულ ცენტრ მარნეულშია აღმართული.

ფორთო კიბეს საზეიმოდ ავყავართ გრანიტის ბაქნებლებკთან, რომელზეც ამოკვეთილია ციფრები — 1941-1945. სკულპტურული კომპოზიცია გამოხატავს ქალს, რომელიც მახვილს გადასცემს თავის ორ ვაჟს. დედასამშობლოს სიმბოლური გამოსახულება დიდებულად დაპპატრონებია სივრცეს. მრავლისმეტყველია დედის სევდა. მიწაზე მაგრად დგანან შვილები — ბიჭები, რომლებსაც ხელთ უპყრიათ მამის მახვილი. ქანდაკების საერთო კომპოზიცია განსაკუთრებულ ოპტიმისტურ განწყობილებას ქმნის. ნიჭიერმა მოქანდაკემ სამამულო ომის პეროიკა მჭიდროდ დაუკავშირა ადამიანის ფსიქოლოგიურ განცდებს.

განსაკუთრებით სრულად „იკითხება“ ქანდაკება, როცა იგი ფრონტალურად წარმოგვიდგება თვალწინ. სამკუთხედში მოქცეული ქანდაკება განსაკუთრებულ უდრეკობასა და ურყეობას იძენს. მკაცრი და სადა ფორმები ხელს უწყობს მონუმენტურობის შექმნას, რომელიც ქალის სახის გულში ჩამწვდომ ლირიკულობას ეხამება. ოდნავ აწეული თავი, დაშვებული ხელები და მკაცრი ფიგურა კომპოზიციურად რაღაც შინაგან სიმშვიდეს ქმნის. მაგრამ ბიჭების ფართოდ გადგმული ფეხები, სამბოლური მახვილის ხაზგასმული „სიმძიმე“, ისე როგორც ქალის ხელების მტევნების ერთგვარი ექსპრესიულობა, აღღვევს მას და, ერთი შეხედვით, სტატიკურ კომპოზიციას შინაგან მძლავრ რიტმს ანიჭებს.

მერაბ ბერძენიშვილი მდიდარი ფანტაზიის მოქანდაკეა, რომელსაც შინაარსის, სკულპტურული კომპოზიციის ლიტერატურული სიუჟეტის პლასტიკური ხორცშესხმის ფაქიზი გრძნობა აქვს. ამ შემთხვევაში თავისი ნაწარმოების „ლიტერატურულ საფუძველად“ მან ფოლკლორული პოეზიის პოპულარული ლექსი გამოიყენა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სწორედ ამ ადგილთან, სადაც იმართებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლები უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ. სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სკულპტურული ჯგუფის „სიუჟეტი“ თავისებურად ეხმაურება ყოველი ქართველისათვის ცნობილი პატრიოტული ლექსის სტრიქონებს.

ღრმა იდეურობა, ლაკონური და ზუსტი აზრი მისი ხორცშესხმის დიდ მხატვრულ ძალასთან შეხამებით შეადგენს ამ ნაწარმოების წარუვალ მნიშვნელობას, რომელიც რესპუბლიკაში მონუმენტური ქანდაკების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში გახდა. ამიტომაც განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ შესანიშნავი მოქანდაკის ამ ნამუშევარს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მერაბ ბერძენიშვილი თავისებური და მრავალმხრივი ოსტატია. მისი ნამუშევრების მკაფიო ინდივიდუალობამ და ღრმა ემოციურმა ხასიათმა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო უკვე პირველ საკონკურსო ნამუშევრებში, ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედებითი გზის დასაწყისშიეე. მაშინ მან შექმნა თბილისის დამაარსებლის, ლეგენდარული ვახტანგ გორგასლის ღრმად პოეტური სახე. მას შემდეგ მ. ბერძენიშვილის ყოველი ახალი ნამუშევარი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ეს ნამუშევრები პოპულარულია, ზოგჯერ მათ გამო დავობენ. პოეტ დავით გურამიშვილის შთაგონებული სახეც (თბილისი), მოსკოვში რუსთაველის ძეგლის ზეშთაგონებული რომანტიკული გადაწყვეტაც, ტრაგიკული რაინდის — გიორგი სააკაძის პეროიკაც (რაიონულ ცენტრ კასპში), მედეას უსაზღვრო სევდაც, ნაპირზე გადმოგდებულ ტალღაში რომ გარინდულა (დადგმულია ბიჭვინთაში), მრავალი სკულპტურული პორტრეტი, ბარელიეფები, მედალიონები, გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები — თვითეული მათგანი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. მთლიანად კი ისინი ნიჭიერი ოსტატის ხელით გულუხვად შექმნილ თავისებურ სამყაროს გამოხატავენ.

ნ. ჯანგბერიძე,
საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი.

სურათებზე: ზემოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი მერაბ ბერძენიშვილი; გამარჯვების 30-ე წლისთავის აღსანიშნავი ძეგლი მარნეულში.**

3. მორგუნოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).



მიქელანჯელო — ფთაგონების ღყარო

ამ უკანასკნელ წლებში გია ყანჩელმა მთელი ჩვენი ქვეყნის მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. იგი უკვე ჩამოყალიბებული ხელოვანია და ამიტომ, რასაც წერს, აღარ შეიძლება იყოს არც შემთხვევითი და არც ნაუცბათევი — ეს მუსიკა იქნება კომედია „ხანუმასათვის“ (რაცა ყანჩელის მუსიკა ხატოვნად ავსებს სპექტაკლის საერთო ხასიათს, ქმნის მოქმედების კომიკურ ატმოსფეროს, ანიჭებს განუმეორებელ ეროვნულ კოლორიტს), თუ მშვენიერი მუსიკა ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრისათვის“.

აქვე დავძენთ, რომ ეს საუცხოო სპექტაკლი, რომელიც რობერტ სტურუამ დადგა და გოგი მესხიშვილმა გაფორმა, ტალანტების ნამდვილ დღესასწაულად იქცა. იგი თითქოს მუსიკაში ჰქვია და როგორც სცენური ჩანფიქრის პლასტიკურობა, ისე ხასიათის თავისებურება განსაზღვრულია მუსიკალური გადაწყვეტით. მსახიობთა ანსამბლი, რომელშიც თვითეული შემსრულებელი ვარსკვლავივით ბრწყინავს, თანამოზრეთა ანსამბლადვე რჩება, რადგან მსახიობებმა ასეთი მახლობელი გაიხადეს სპექტაკლი, ასეთი მკვეთრად მეტყველი ეროვნული ნიშნებით დახატეს თვითეული პერსონაჟი. არა გვგონია ოდესმე ასე სისხლსავსედ, ცხოვრებისეულად განსხორციელოს ვინმემ ამ პიესის დადგმა, როგორც ეს რუსთაველის სახელობის თეატრმა შეძლო.

თეატრისათვის, კინოსათვის შექმნილ მუსიკას დიდი ადგილი უჭირავს ყანჩელის შემოქმედებაში. და ყოველთვის ეს თითქოს უაღრესად ნიჭიერი კომპოზიტორის ახალი გაცნობაა. ყოველთვის ახალია, ვიმეორებთ, რადგან ხატოვნად აზროვნების მისი უნარი ვეეხმარება ვიპოვოთ სწორედ ის ბგერითი ფერები, რომლებიც ხელს გვიწყობს ჩაეწვდეთ ავტორის მრავალფანგოვან ჩანაფიქრს.

მაგრამ ყანჩელის ბეშმარიტი მოწოდება, მისი სულიერი მეობა მაინც სიმფონიზმში გლინდება.

ოთხი სიმფონია — აზროვნების ოთხი ფართო ტალღა, რომლებშიც ყველაზე უფრო ზუსტად ვლინდება კომპოზიტორის ნათელი ინდივიდუალობა.

IV სიმფონია გენიალურ მხატვარს — მიქელანჯელოს ეძღვნება. და ამ შემთხვევაშიც არ ღალატობს ყანჩელი თავის მეობას, თუ ვილაპარაკებთ წერის მანერაზე, მუსიკალური მეტყველების მკვეთრ თავისებურებაზე, განსაკუთრებულ სულიერ გრძნობაზე, რომელიც ასე ნათლად ვლინდება მის შემოქმედებაში.

სიმფონია შთაგონებული ფიქრის შთაბეჭდილებას ქმნის. მუსიკალური აზროვნების გარეგანად მშვიდი, ზუსტი, თანდათანობითი განვითარება, მთელი თავისი არსით დინამიკური დაძაბულობა განსაკუთრებით ორიგინალურად ერწყმის თვითონ ხელოვანის შინაგან სამყაროს.

ამ სიმფონიაში ვერ ავიცილებთ ვერავითარ ამბავს, ვერეგან მოქმედებას და ამიტომ მას არცა აქვს სიმფონიისათვის ტრადიციული ფორმა.

ყანჩელის ნოვატორობა — ის, რას მას ქვეყნის საუკეთესო კომპოზიტორების რიგში აყენებს, ის, რაც დამახასიათებელია სწორედ მისი შემოქმედებითი ნიჭისათვის, ის არის, რომ მას შესწევს უნარი იაზროვნოს შინაგანად ღრმად და მასშტაბურად, უბრალო ენით დაგვაახლოვოს დიდთან. ასე, მაგალითად, ალტის მშვენიერი თემა, რომელიც განსაკვიფრებლად ზუსტად არის აგებული ხალხური სიმღერისათვის დამახასიათებელ ინტონაციებზე, წარმოშობს გულისტკივილის ამალელვებელ გრძნობას მიქელანჯელოს — როგორც ადამიანის, ისე დიდი მხატვრის ბედის გამო.

სიმფონია გვიპყრობს განზოგადებული ხატოვანებით, ღრმა ფიქრით, რაც ასე ზუსტად არის შეხამებული ეპოქის კოლორიტთან.

ნაწარმოების მასშტაბურობა, ჩანაფიქრის სირთულე გავლენას არ იხდენს ქმნილების გამომსახველ საშუალებებზე.

სიმფონია, რომელიც შეიქმნა ჩვენს, სულიერად ასე დაძაბულ ეპოქაში გასაოცრად ეხმიანება მას როგორც თავისი მაძიებელი აზროვნების, მიზანსწრაფულობის მიხედვით, ისე გამომსახველობის ოვალთა თავდაჭერილობით, შემართებითა და „სიტყვაძუნწობით“.

თანამედროვეობა ოგრძნობა კომპოზიტორის შემოქმედებითს პოზიციაშიც და სიმფონიური აზროვნების იმ მთლიანობაშიც, რომელსაც იგი ამკვიდრებს, და მის ეროვნულ ბუნებაშიც.

საქართველოში დღეს მთელი ხმით ჟღერს საშუალო თაობის ნიჭიერი კომპოზიტორების შემოქმედება. მათ ღირსეულად აიტაცეს ქართული მუსიკის უფროსი ოსტატების ესტაფეტა. ყველას საერთო საზრუნავი აკავშირებს. მათ აერთიანებთ აგრეთვე მაღალი პროფესიონალიზმიც, მრავალმხრივი ერუდიციაც, თავგანთა მსწავლელებლობისადმი ერთგულებაც, და რაც მთავარია, სასსლხორციელად აქვთ ფესვები გადგმული მშობლიურ ქართულ მუსიკაში.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ ჯანსულ კახიძეზე — ბრწყინვალე დირიჟორზე, ქართველი კომპოზიტორების თანაავტორზე, თანამოაზრესა და მეგობარზე, მუსიკოსზე, რომელსაც აქვს ეშვიათი ნიჭი მსმენელამდე ისე მიიტანოს ავტორის ჩანაფიქრი, რომ სამუდამოდ დაახსომოს.

გ. ყანჩელის მეოთხე სიმფონიას მრავალრიცხოვანი აუდიტორიის ცხოველი გამოხმაურება ხვდა და მან ღირსეულადაც მოიპოვა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია.

ნამი მიქოლიანი,
მუსიკისმცოდნე,
ქ. მოსკოვი.

სურათზე: *კომპოზიტორი გია ყანჩელი.*
ბ. კიხპაპაძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).



ფოტოკაკრატით ჩვენს დედაქალაქში

სადღესასწაულო თბილისი

აბა გაიარეთ ჩვენს ხაყვარელ დედაქალაქში — თვალსა და გულს ახარებს ხალეიმოდ მორთული ქალაქი, მაგრამ მარად ახალგაზრდა თბილისი. ახლა ვიდევ უფრო გეამაყება, რომ შენ, მისი მაცხოვრებელი, მისი მეგობარნახულე ხარ, რომ შენც იღებ მონაწილეობას პატრიოტული დეკადის განხორციელებაში—„გადავაქციოთ თბილისი ხანიმაშო წესრიგისა და კულტურის ქალაქად“.

აი, მკითხველო, გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ ფოტორეპორტიორები ს. კილაძე და ზ. ბოგოლიუბოვი ფოტოკამერებით ეწვივნენ თბილისის სხვადასხვა კუთხეს და გადაიღეს მოზეიმე ქალაქი, მისი უბნები, მისი ადამიანები.

სურათებზე: ზემოდან — მარცხნივ: გლდანის საცხოვრებელი მასივის მეექვსე მიკრორაიონის ახალი მობინადრეები — საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი, ტრამვაის მძღოლი ვ. წამალაძე და დიასახლისი ე. კახიშვილი, რომლებიც სადღესასწაულოდ ჩასახლდნენ ახალ ბინებში; მარჯვნივ — მრავალ სადღესასწაულო მისალოც დეპეშებს და ბარათებს მიიღებენ ამ დღეებში თბილისელები. სურათზე თქვენ ხედავთ კავშირგაბმულობის მეცხრე განყოფილების ექსპედიტორს კომკავშირელ გულნაზ გრძელიძეს; ქვემოთ — ავჭალის გზატკეცილის ერთ-ერთი კუთხე; თბილისის 132-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები, რომლებიც დღესასწაულის წინადღეებში ოქტომბრელთა რიგებში მიიღეს.

ჩვენი ეროვნული ფინეთი

ნდობა

საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ფინეთი რუსეთის იმპერიის „სამთავროდ“ ითვლებოდა. არაერთხელ სცადეს დამოუკიდებლობის მოპოვება ფინელებმა, მაგრამ ცარიზმის დაუნდობელი ხელი ყოველთვის ახშობდა მათ მცდელობას.

1917 წლის დეკემბერში სახალხო კომისართა საბჭოს სხდომამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ფინეთს დამოუკიდებლობა მიენიჭა...

ფილმში ვ. ი. ლენინის სახეს სსრკ სახალხო არტისტი კ. ლავროვი ქმნის. სურათში მონაწილეობენ აგრეთვე ცნობილი მსახიობები: ვ. ტატოსოვი, მ. ტერეხოვა, ა. შურანოვა, ა. ხოლონინაცინი.

სცენარის ავტორები არიან ბ. შატროვი, ვ. ლოგინოვი, დამდგმელი რეჟისორები: ვ. ტრეგუბოვიჩი, ე. ლანე, (სსრკ, ფინეთი).

გამარჯვებული

სამოქალაქო ომის გმირებს, რევოლუციის მონაპოვრისათვის თავდადებულ მებრძოლთ, მათ, ვინც ყველაფერი გაეკეთა ახალგაზრდა საბჭოთა სამშობლოს დასაცავად მიუძღვნეს თავისი ფილმი რეჟისორებმა ანდრეი ლადინინმა და ედგარ ხოჯიკიანმა. ფილმის სცენარი ანატოლი სტეპანოვს ეკუთვნის. მთავარ როლებში ვიხილავთ თეატრისა და კინოს პოპულარულ მსახიობებს: ალექსანდრე ზბრუევს, გიორგი ტარატორკინს, ვლადიმირ კორენევს. (კინოსტუდია „მოსფილმი“).



ტელევიზია

7 ნოემბერი

პირველი პროგრამით

09.50 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი თბილისიდან და მოსკოვიდან, 13.30 — საზეიმო პიონერული კონცერტი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — კინოპროგრამა, 15.00 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „ვუმღეროთ მეგობრობას“ — ფერადი გამოსახულებით, 15.35 — „ქარიშხლით შობილი ხელოვნება“, 16.20 — საზეიმო კონცერტი — ფერადი გამოსახულებით, 17.10 — ლიტერატურული კომპოზიცია „როგორ ვიმარჯვეთ“ — ფერადი გამოსახულებით, 17.50 — მდერის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“ — ფერადი გამოსახულებით, 18.25 — ქართული ფერადი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენ რუსთაველიდან ვართ“ — პრემიერა, 18.55 — ფერადი დოკუმენტური ფილმი „მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი“ პრემიერა. 19.25 — 1976 წლის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მუსიკის დარგში გია ყანჩელი (ფერადი გამოსახულებით), 19.45 — „მომაბეზ“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — ტელეფილმი, 20.30 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადისა და მშრომელთა დემონსტრაციის რეპორტაჟი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ცისფერი ეკრანი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — დოკუმენტური ფილმი „მიხეილ კალინინი“, 19.05 — კონცერტი, 19.50 — სატელევიზიო სპექტაკლი „ირგუტსკის ისტორია“ I ნაწილი, 21.20 — მხატვრული ფილმი „წითელი მოედანი“ (II სერია).

თეატრები

7 ნოემბერი

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ლაშარა.



მსახვრის ღიმილი

უსიტყვოდ...

ა. ბრაძის ნახატი.

ფეხბურთი

მოსკოვის „ტორპედო“ — ჩემპიონი

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის გათამაშების ლიდერმა მოსკოვის „ტორპედომ“ გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე უმასპინძლა თბილისის „დინამოს“.

ასპარეზობა დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ბურთი თამაშის მე-15 წუთზე გაიტანა ხრაბროსტინმა.

ამრიგად, **მოსკოვის „ტორპედომ“** (უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვალენტინ ივანოვი) 20 ქულა მოიგროვა და მიუხედავად „არარატთან“ დარჩენილი მატჩის შედეგისა, 11 წლის შემდეგ კვლავ მოიპოვა **სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები.** ტორპედოელები მესამედ დაეუფლნენ საბჭოთა ფიზბურთის ამ უმაღლეს ტიტულს.

კიდევ 3 მატჩი

გუშინ მოსკოვში, ლენინგრადსა და კუიბიშევში „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ სამი შეხვედრა გაიმართა.

აი მათი შედეგები:

ცსკა-„კარპატი“ — 1:1; „ზენიტი“-„დინამო“ — 0:0; „კრ. სოვეტოვ“-„ჩერნომორეცი“ — 2:0.

ვინ მოიპოვებს მესამე საგზურს?

მოსკოვი. 6 ნოემბერი. (საკუდესი). სვერდლოვსკის „ურალმაშა“, რომელმაც საკუთარ მოედანზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა ლაჩიზუთის „გურია“ (პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0), მომავალი სეზონისათვის გაანღდა პირველ ლიგაში მონაწილეობის უფლება. მეორე საგზური წილად ხვდათ ლენინგრადის დინამოელებს, რომლებმაც განმეორებით მატჩში 3:2 (პირველი მატჩი — 1:1) დაამარცხეს ქალაქ იანგიერის (უზბეკეთი) გუნდი.

მესამე საგზურის მფლობელი ჯერჯერობით გაურკვეველია. „კრიგბასის“ (კრივი რიგი) ფეხბურთელებმა პიატიგორსკში ადგილობრივ „მაშუკთან“ დამარცხების შემდეგ (0:1), შეძლეს რევანშის აღება — 2:0. ვინაიდან დებულების თანახმად ამ მატჩებში ბურთების სხვაობას გამარჯვებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, ეს გუნდები 11 ნოემბერს დამატებით მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს. წილისყრამ გამოავლინა შეხვედრის ადგილი — სიმფეროპოლი.

ტირაჟის შედეგები

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 3 ნოემბერს გამართული „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის 44-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ ვერ გამოიცნო; ისინი ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მიიღებენ 1.529 მანეთს (115 ბარათი); ოთხი ნომერი — 40 მანეთს (4.645); სამი ნომერი — 3 მანეთს (71.282).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერც ერ გამოიცნეს; ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 2.070 მანეთს (34 ბარათი); ოთხი ნომრისა — 48 მანეთს (1.625); სამი ნომრისა — 3 მანეთს (28.697).

44-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 14 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით.

შაბათის „სპორტლოტო“

გაცნობებთ შაბათის „სპორტლოტოს“ მე-13 ტირაჟის (5 36-დან) შედეგებს, რომელიც 6 ნოემბერს გაიმართა მოსკოვში:

პირველი ტირაჟი: 14 (ნიჩბოსნობა ბაიდარითი და კანოეთი), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი), 11 (ტანვარჯიში), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 34 (ფეხბურთი);

მეორე ტირაჟი: 31 (ძალოსნობა), 25 (ცეკვაობა), 17 (ციგურაობა), 6 (ცალსაკეური ჭიდაობა), 2 (ბიატლონი).

ჭადრაკი

ვ. ქარსელაძის მემორიალი

ვ. ქარსელაძის IV მემორიალის მონაწილეებმა წელისყრის შემდეგ ასეთი ნომრები მიიღეს: 1. ოსტატი ლერნერი (ოდესა), 2 დიდოსტატი ლუტიკოვი (ტრასპოლი), 3. თბილისის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი სტურუა, 4. საერთაშორისო ოსტატი გიორგაძე, 5. ოსტატობის კანდიდატი გედევანიშვილი, 6. ოსტატი ბოკუნავა, 7. დიდოსტატი გურგენიძე, 8. დიდოსტატი ხოლმოვი, 9. საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი ჩიქოვანი, 10. ოსტატი უბილავა, 11. ოსტატი ზაიჩიკი, 12. ოსტატი მიქაძე, 13. საერთაშორისო ოსტატი ანიკაევი (ნოვოკუზნეცკი), 14 ოსტატი ჯახოვი, 15. დიდოსტატი კუზმინი (ვორონეჟოვგრადი), 16. ოსტატი მიხალჩენინი (ლვოვი).

სამწუხაროდ, მემორიალში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა. საქმე ის არის, რომ ნოემბრის ბოლო რიცხვებში იგი საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატში ებრძოლა, რომელიც უძლიერეს შემადგენლობას იკრებს.

გუშინ პირველ ტურში გათამაშდა მხოლოდ ექვსი პარტია, რადგან ზოგიერთმა მონაწილემ ვერ მოასწრო თბილისში ჩამოსვლა. დამთავრდა ერთი პარტია. ხოლმოვმა თეთრებით უკეთესი პოზიცია მიიღო და მოუგო ჩიქოვანს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღეს შეჯიბრების მონაწილენი ისვენებენ. მეორე ტური გაიმართება ხვალ, 8 ნოემბერს.

მოკლედ

ხელგურთი. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში გლაზოვში კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვა თბილისის „ბურევესტნიკმა“, რომელმაც მოუგო კიევის სკა-ს — 26:22 და კაუნასის „გრანიტასს“ — 24:22. ახლა ქართველ ხელბურთელებს 6 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე იმყოფებიან მი-ს შემდეგ — 10 ქულა.

მაგიდის ჩოგბურთი. სსრ კავშირისა და ინგლისის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი ლონდონში დამთავრდა ფრედ — 4:4. ბუდაპეშტში ევროპის ლიგის მორიგ მატჩში უნგრელებმა მოუგეს ფრანგებს — 4:3, ხოლო ტრირში (გფრ) შვეიცის ნაკრებმა დაამარცხა დასავლეთ გერმანიის გუნდი — 5:2.

კოკეი. გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. მოგვყავს მათი შედეგები: „კრილია სოვეტოვი“-„სპარტაკი“ — 5:6, „ტრაქტორი“-„ტორპედო“ — 5:1, ლენინგრადის სკა — რიგის „დინამო“ — 2:7, ვოსკრესენსკის „ხიმიკი“ — სარატოვის „კრისტალი“ — 6:2. გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი ცსკა და „დინამო“. ანგარიშით 6:3 გაიმარჯვეს არმიელებმა. ახლა მათ 21 ქულა აქვთ. დინამოელები მეოთხე ადგილზე არიან — 15 ქულა.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-53, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОММУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02559 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

რედაქტორი დ. მჟელიშვილი.